პროგრამული დაფინანსება

- **ბხსუ-ში პროგრამულად ფინანსდება:**
  - ბაკალავრიატში სწავლა ჩარიცხვიდან 4 წლის განმავლობაში, თითოეულ საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე (კონცენტრაციაზე) ჩარიცხული სტუდენტების 30%.
  - მაგისტრატურის საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე პროგრამული დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება მისაღები კონტინგენტისა და სამაგისტრო პროგრამის რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ადგილების ფარგლებში ჩარიცხვიდან 2 წლის განმავლობაში.
  - მუსიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საორკესტრო მიმართულებით ჩარიცხული ყველა სტუდენტი ღებულობს პროგრამულ დაფინანსებას, მათ შორის, აღნიშნული მიმართულებით მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტი.

სპეციალობისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში პროგრამულ დაფინანსებას კონკურსის წესით მიიღებენ ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღეს 81 და მეტი ქულა.

- **სტუდენტი ვერ მიიღებს მოპოვებულ პროგრამულ დაფინანსებას თუ:**

  - სწავლის პერიოდში სპეციალობის საგანში ან/და საგნებში მიიღებს 81 ქულაზე ნაკლებს;
  - მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში ნებისმიერ საგანში მიიღებს 81 ქულაზე ნაკლებს;
  - სხვა საგანში ან/და საგნებში მიიღებს უარყოფით „(F) ჩაიჭრა“ შეფასებას;
  - მობილობით ან ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შეუწყდება ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.
  - შიდა მობილობით პროგრამის ან/და კონცენტრაციის შეცვლის შემთხვევაში.
  - პროგრამული დაფინანსება არ გაიცემა ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხულ უცხოეთის მოქალაქეებზე.

- **გამოთავისუფლებული პროგრამული დაფინანსება გაიცემა:**
  - ბაკალავრიატში იმავე ჯგუფში მყოფ იმ კანდიდატზე, რომელსაც სემესტრულ შეფასებებში სპეციალობის საგნებში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.
  - მაგისტრატურაში იმავე ჯგუფში მყოფ იმ კანდიდატზე, რომელსაც სემესტრულ შეფასებებში ყველა საგნებში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.